KA030121851380816

№ 01-8093

05 / მაისი / **2016 წ.**

საქართველოს [illegible] სოციალური
დაცვის მინისტ[illegible]
სოციალური დაცვ[illegible] დეპარტამენტ[illegible]
ოდიშარიას

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 5-6 აპრილს სოციალური დაცვის დეპარტამენტის სოციალური საკითხთა და პროგრამების სამმართველოს უფროსმა ამირან დათეშიძემ მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოსა და ბულგარეთის მთავრობის მიერ ორგანიზებით ქ.სოფიაში გამართულ კონფერენციაში, რომელიც მიეძღვნა ევროპის საბჭოს ბავშვთა უფლებების 2016-2021 წლების სტრატეგიის ამოქმედებას და საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ მის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ბავშვთა უფლებების 2016-2021 წლების სტრატეგია შემუშავებულია ევროპის [illegible] ექსპერტთა კომიტეტის მიერ დაინტერესებული წრეების ფართო მონაწილეობით და [illegible] ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების საერთო პრიორიტეტებს ბავშვთა უფლებების [illegible];

1. თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ყველა ბავშვისათვის;

2. ბავშვთა ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა მათთან დაკავშირებული [illegible] ნებისა და გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში;

3. ყველა ბავშვისათვის ძალადობისაგან თავისუფალი სიცოცხლის უზრუნველ[illegible]

4. ბავშვთა მიმართ მეგობრული სასამართლო პროცედურების უზრუნველყოფ[illegible]

5. ბავშვთა დაცვა ციფრულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რისკებისაგან.

სტრატეგია ასევე დეტალურად მიმოიხილავს არსებულ გამოწვევებს და გ[illegible] მიერ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გასატარებელ ღონისძიებებს.

აღსანიშნავია ასევე, რომ სტრატეგიის განხორციელება უნდა მოხდეს [illegible] ფართო მონაწილეობით, ხოლო პროგრესის შესახებ დაგეგმილია შუალედური [illegible]

აქედან გამომდინარე, ევროპის საბჭოს ბავშვთა უფლებების 2016-2021 [illegible] ებული განხორციელება მნიშვნელოვანია საქართველოში ბავშვთა უფლებების [illegible] სამისად დაცვისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესულების უზრუნველსა[illegible]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გა[illegible] ენაზე თარგმნა და ყველა დაინტერესებული პირისთვის მასზე ხელმ[illegible] ტროს ვებ-გვერდზე განთავსება და სხვა). ასევე, სამინისტროს სოციალ[illegible] ხდეს დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ინფორმირება და სტრა[illegible] ყობის მიზნით მათთან კოორდინაცია, რისთვისაც გთხოვთ თქვენს თანხმობას.

დანართი: ევროპის საბჭოს ბავშვთა უფლებების 2016-2021 წლების სტრა[illegible]

პატივისცემით,

სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი

...იშარია

KA030114535414216

№ 01-12745 **07 / ივლისი / 2016 წ.**

მინისტრის აპარატის (დეპარტამენტი) უფროსს ქალბატონ
ნანა ქავთარაძეს

ქალბატონო ნანა,

თქვენი 02 ივნისის № 01-10015 წერილის თანახმად, საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდგომი ინფორმირების მიზნით, წარმოგიდგენთ ინფორმაციას მიმდინარე წლის 27-28 ივნისს ქ.სტრასბურგში გამართული ევროპის საბჭოს სოციალური ერთობის პლატფორმის Social Cohesion Platform (PECS) პირველ შეხვედრის თაობაზე, რომელშიც მივიღე მონაწილეობა.

გაცნობებთ, რომ ვინაიდან ეს გახლდათ აღნიშნული კომიტეტის პირველი შეხვედრა, შეხვედრის ძირითადი ნაწილი მიეძღვნა კომიტეტის მუშაობის პრინციპების, მეთოდებისა და პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრას; კომიტეტის თავმჯდომარისა და ვიცე-თავმჯდომარის არჩევას; ასევე, შეხვედრაზე მონაწილე მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდათ წარმოედგინათ ინფორმაცია ქვეყნებში ბოლო პერიოდში სოციალური მიმართულებით განხორციელებული მიღწევების შესახებ.

კომიტეტის გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა მინისტრთა კომიტეტის მიერ განსაზღვრული მიმართულებების შესაბამისად, სამი სამუშაო ჯგუფის ფორმირება:
1. ჯგუფი, რომელიც იმუშავებს სოციალური ერთობის ევროპის საბჭოს სტრუქტურებში მეინსტრიმინგის საკითხზე.
2. ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ქვეყნებში არსებული კარგი პრაქტიკის მაგალითების მოძიებაზე და გაზიარებაზე.
3. ჯგუფი, რომელიც იმუშავებს სოციალური ერთობის მიმართულებით არსებული ტენდენციებისა და გამოწვევების ანალიზის საკითხებზე.

აღნიშნული ჯგუფები იმუშავებენ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით და მიმდინარე წლის დეკემბრისთვის მინისტრთა კომიტეტისთვის მოამზადებენ ინფორმაციას შუალედური ანგარიშის ფორმით. ჩემს მიერ პრიორიტეტულად დასახელდა მე-2 სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა.

რაც შეეხება კომიტეტის თავმჯდომარის არჩევნებს, მასში მონაწილეობდნენ ალბანეთის, რუსეთისა და სასომხეთის წარმომადგენლები. ფარული კენჭისყრით მეორე ტურში კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეული იქნა რუსეთის წარმომადგენელი, ხოლო ვიცე-თავმჯდომარედ ბულგარეთის წარმომადგენელი. ალბანეთის წარმომადგენელი არჩეული იქნა მომხსენებლად გენდერულ საკითხებზე.

სოციალური მიმართულებით ბოლო პერიოდში ქვეყნებში განხორციელებული მიღწევების შესახებ, ჩემს გამოსვლაში კომიტეტს მოვახსენე შშმ პირთა ქმედუნარიანობის სისტემაში განხორციელებული რეფორმისა და საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განხორციელების შესახებ. ასევე, აღვნიშნე 2015 წლის ზაფხულში ევროპის საბჭოს სოციალური ქარტიის დირექტორატის მიერ ქ.თბილისში გამართული სემინარის შესახებ, რომელიც მიეძღვნა საქართველოს მიერ ევროპის სოციალური ქარტიის არარატიფიცირებული მუხლების რეტიფიცირების შესაძლებლობის განხილვას და მის შედეგებს.

კომიტეტის მომდევნო შეხვედრის სავარაუდო თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 19-20 სექტემბერი.

აქვე გაცნობებთ, რომ 30ივნისსა და 1 ივლისს ასევე მონაწილეობა მივიღე სოციალური დაცვის სისტემების საინფორმაციო ქსელის (MISSCEO) შეხვედრაში სადაც განხილილი იყო წევრი ქვეყნების მიერ 2015 წლის საანგარიშო პერიოდისთვის წარდგენილი ინფორმაციები, ასევე ცალკეული სოციალურ რისკებთან დაკავშირებით (გრძელვადიანი ზრუნვა და ხანდაზმულობა) ინფორმაციების წარდგენის წესის შემოთავაზებული ცვლილებები. ასევე, განხორციელდა ჯგუფური მუშაობა სხვადასხვა ქვეყნების მიერ წარდგენილი ინფორმაციების შედარებით ანალიზზე. გაზიარებული იქნა ინფორმაციები ქვეყნებში სოციალურ სფეროში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ. ჩემს მიერ ასევე დაისვა საკითხი ქვეყნების სოციალური დაცვის სისტემების მოკლე შესავალის დოკუმენტის განახლების საჭიროების შესახებ, რადგან ქვეყნების მიერ წარდგენილი აღნიშნული

ინფორმაცია მოძველებულია და საჭიროებს განახლებას, რაც გაზიარებული იქნა სამდივნოს მიერ და ქსელის წევრ სახელმწიფოებს ეთხოვათ განახლებული ინფორმაციები საჭიროების შემთხვევაში სამდივნოს მიაწოდონ დამატებით.

პატივისცემით,

სოციალურ საკითხთა და პროგრამების
სამმართველოს უფროსი

ამირან დათეშიძე

KA[illegible]015[illegible]932672316

№ 01-18252 **21 / სექტ[illegible]მბერი / 2016 წ.**

საქართველოს [illegible] [illegible] სოციალური
დაცვის მინისტრს, [illegible] დავით[illegible]
სოციალური დაცვის დეპარტამენ[illegible] [illegible] ბატონ
ოდიშარიას

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 5-7 ოქტომბერს დაგეგმილია ევროპის საბჭოს შშმ [illegible]ორი უფლებების ექსპერტთა კომიტეტის მორიგი შეხვედრა, რომლის წევრია სოციალური დაცვის დეპარტ[illegible]ტის სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს უფროსი ამირან დათეშიძე. შეხვედრის ძ[illegible]ითადი [illegible] შშმ პირთა 2017-2023 წწ. ევროპული სტრატეგიის ტექსტის შეთანხმება. იმის გათვალისწინებით, რომ ქ[illegible]ფელი მხარე წინა შეხვედრების დროს აქტიურად იყო ჩართული სტრატეგიის შემუშავების [illegible], [illegible] უშუალოდ შეხვედრებზე მონაწილეობით, ასევე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალ[illegible] [illegible] პერიოდში დეპარტამენტის დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო, მიზანშეწონილად [illegible] [illegible]ედრაზე მონაწილეობისგან თავის შეკავება, რაზედაც გთხოვთ, თქვენს თანხმობას.

დანართი: შშმ პირთა უფლებების კომიტეტის შეხვედრის დღის წესრიგი და კომიტ[illegible] [illegible] [illegible]ილი.

პატივისცემით,

სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი [illegible]ამირა

KA030102639188616

№ 01-14892 **03 / აგვისტო / 2016 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს
სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსს ქალბატონ
ნინო ოდიშარიას

ამავე დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და
პროგრამების სამმართველოს უფროსის მოვალეობის
შემსრულებლის ნინო ჯინჯოლავას

მოხსენებითი ბარათი

ალბატონო ნინო,

ოგორც მოგეხსენებთ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიმდინარე ლის 20 ივლისის № 01-193/მ ბრძანების საფუძველზე, 23-28 ივლისს სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - ნატო აფიძე იმყოფებოდა პოლონეთის რესპუბლიკაში. ვიზიტის მიზანი იყო პოლონეთის დედოფლის წმ. იადვიგას ახელობის ფონდის პროექტის - „შშმ პირთა პროფესიული და საზოგადოებრივი რეინტეგრაციის ცენტრის ოდელის შექმნისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავებაში" მონაწილეობის მიღება და მათთან არსებული კუპაციური თერაპიის, პროფესიული აქტივობის თერაპიული ცენტრების, პროფესიული აქტივობის საწარმოების, ლუბების, საზოგადებრივი ინტეგრაციის ცენტრების და სოციალური საწარმოების მონახულება. პროექტი აფინანსებულია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განვითარების პროგრამის პოლონეთის დახმარების არგლებში. ვიზიტზე იმყოფებოდა სოციალური მომსახურების სააგენტოს, ასევე განათლებისა და მეცნიერების ამინისტროს პროფესიული განვითარების ცენტრისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თანამშრომლები. როექტის მიზანია, შშმ პირთა დღისა და სარეაბილიტაციო ცენტრებში გარემოს ადაპტაციისა და მცირე ახელოსნოების განვითარების საკითხებში პოლონეთის პრაქტიკის გაზიარება.

აგურამოს ბავშვთა სახლის ბაზაზე, რომელის აღდგენაზე მუშაობს სოციალური მომსახურების სააგენტო და ეიბერთი ბანკი, იგეგმება ევროპული დონის დღის ცენტრისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ავშვებისთვის მცირე სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნა, ასევე მომავლისთვის დაგეგმილია ამ ტერიტორიაზე მცირე ახელოსნოების (მებაღეობა, ლანდშაფტის დეკორატიული მოწყობა, თიხის სახელოსნო, კატერინგი - სამზარეულო აქმე და ა.შ.) განვითარება. აღნიშნული ვიზიტი დაიგეგმა საგურამოს განვითარების მიზნით. ვიზიტის ონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია, თუ როგორ არის აღნიშნული სისტემა განვითარებული პოლონეთში, სადაც ოლო წლებში მოხდა ღრმა ცვლილებები სოციალური გარიყულების (მათ შორის შშმ პირებისადმი) საკითხებთან აკავშირებულ მიდგომებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ პოლონეთში შშმ პირთა მხარდაჭერის და ოციალური ეკონომიკის სისტემები დაახლოვდა. ამ ორი სისტემის ოპტიმალური შერწყმა, აერთიანებს ოკუპაციური ერაპიის, პროფესიული აქტივობის თერაპიული ცენტრებს, პროფესიული აქტივობის საწარმოებს, კლუბებს, აზოგადებრივი ინტეგრაციის ცენტრებს და სოციალურ საწარმოებს. პირველი ორი მათგანი შექმნილია შშმ პირთა, ანარჩენი კი სხვა სოციალურ გარიყულობის საშიშროების წინ მდგომი ჯგუფების მხარდასაჭერად. ყველა ამოთვლილი ობიექტის სახეობა წარმოადგენს სოციალური ეკონომიკის სუბიექტს. მათი დაფინანსების ძირითადი ყაროა ადგილობრივი თვითმმართველობები.

ამომავლოდ იგეგმება პოლონელი ექსპერტების ვიზიტი საქართველოში, ასევე სასწავლო ვიზიტი პოლონეთში. ეღებული ინფორმაცია საქართველოს მხარეს ხელს შეუწყობს შშმ პირთა რეაბილიტაციის და ინტეგრაციის ენტრის მოდელის შექმნაში.

ანართის სახით წარმოგიდგენთ მოხსენებას „შშმ პირთა პროფესიული რეაბილიტაციის მხარდაჭერის სისტემა ოლონეთის საზოგადოებრივი და პროფესიული რეინტეგრაციის ცენტრებში," რომელშიც აღწერილია ოკუპაციური ერაპიის, პროფესიული აქტივობის თერაპიული ცენტრების, პროფესიული აქტივობის საწარმოების, კლუბების, აზოგადებრივი ინტეგრაციის ცენტრებისა და სოციალურ საწარმოების მუშაობის პრინციპები.

ატივისცემით,

სოციალურ საკითხთა და პროგრამების
სამმართველოს უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ნინო ჯინჯოლავა

KA030175127037416

№ 01-14983

04 / აგვისტო / 2016 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს
სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსის
ნინო ოდიშარიას

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ატონო დავით,

ნფორმაციისათვის მოგახსენებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის იმდინარე წლის 20 ივლისის № 01-193/მ ბრძანების საფუძველზე, 23-28 ივლისს სამმართველოს მთავარი პეციალისტი - ნატო ჩაფიძე მივლინებით იმყოფებოდა პოლონეთის რესპუბლიკაში. ვიზიტის მიზანი იყო ოლონეთის დედოფლის წმ. იადვიგას სახელობის ფონდის პროექტის - „შშმ პირთა პროფესიული და აზოგადოებრივი რეინტეგრაციის ცენტრის მოდელის შექმნისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავებაში“ ონაწილეობის მიღება და მათთან არსებული ოკუპაციური თერაპიის, პროფესიული აქტივობის თერაპიული ენტრების, პროფესიული აქტივობის საწარმოების, კლუბების, საზოგადებრივი ინტეგრაციის ცენტრების და ოციალური საწარმოების მონახულება. პროექტის მიზანია, შშმ პირთა დღისა და სარეაბილიტაციო ცენტრებში არემოს ადაპტაციისა და მცირე სახელოსნოების განვითარების საკითხებში პოლონეთის პრაქტიკის გაზიარება.
ოგეხსენებათ, რომ საგურამოს ბავშვთა სახლის ბაზაზე, რომელის აღდგენაზე მუშაობს სოციალური მომსახურების ააგენტო და ლიბერთი ბანკი, იგეგმება ევროპული დონის დღის ცენტრისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ავშვებისთვის მცირე სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნა, ასევე მომავლისთვის დაგეგმილია ამ ტერიტორიაზე მცირე ახელოსნოების (მებაღეობა, ლანდშაფტის დეკორატიული მოწყობა, თიხის სახელოსნო, კატერინგი - სამზარეულო ექმე და ა.შ.) განვითარება.
ამომავლოდ იგეგმება პოლონელი ექსპერტების ვიზიტი საქართველოში, ასევე სასწავლო ვიზიტი პოლონეთში. ოღებულმა ინფორმაციამ საქართველოს მხარეს ხელი უნდა შეუწყოს შშმ პირთა რეაბილიტაციის და ინტეგრაციის ენტრის მოდელის შექმნაში.

ანართი: სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს უფროსის მოხსენებით ბარათი და მოხსენება „შშმ ირთა პროფესიული რეაბილიტაციის მხარდაჭერის სისტემა პოლონეთის საზოგადოებრივი და პროფესიული ეინტეგრაციის ცენტრებში.“

ატივსცემით,

სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი ნინო ოდიშარია